

# ცისკარი

1874 № 3

მარტი

წელიწადი მეთვრამეტე



წოდება თხუთმეტობათა:

- I.—პოლშის კოროლი და ლითონის გეტმანი — — — — — მისეილ ჩივიანისა.
- II.—დიდ კაცს (ლექსი) — — — — — ი. კ.
- III.—ზასუსი — — — — — ალგუთელისა.
- IV.—კოსტანცია კონტარინი — — — — — ი. კ.

ტფილისი  
ექვთიმე ხელაძის სტამბაში  
1874

Тифлис. Типография Е. Хеладзе. 1874 г.

# ნოლშის კოროლი და ღიო- ვის გეთმანი

[ნამდვილი ანბანი]

ოგინცსკის გაუკვირდა უცარი მოსვლა კართლი-  
სა, რადგანც არ შეატეობინეს წინათვე, როგორც კუ-  
ლბუ ეოფილს.

— რა მიზეზია ბატონო მისეილ, ჰკითხა კაროლმა  
გეთმანს, რომ კარგა ხანია აღარსადა ჰსჩანხარ?

— მე ძამულის შემუშაუებასედ დაურჩი შინა, ბევრი  
საქმე გამომიჩნდა ზ ველარ ვიასელ თქვენს დიდებულე-  
ბასა.

— მე შევიტეე შენი ავანტიურობა ზ მოველი შენ  
სანახავათა.

— უმდაბლესად გმადლობ, მე ეოველთჳს კარგათ  
გახლავარ, შეცდომით მოუსხენებიათ.

— მამ მართალია რომ შენ ვითომც სიუვარულისა-

გან თითქო ჭეუთოგან იყო შეძლილ?

— თითქმის თქვენო დიდებულებავ.

— ზ ისიც უბრალო კლესი კაცის ქალისაგან.

სიმძუნეიერე ქალისა ჩემო კელმწიფევე, როგორც ფრანცუზული ანდასა მოკვითხრობს, უმაღლესი ყოველის ამ მსოფლის დიდებასედ, ზ არა რაო დაიმონებს მკრძნობელს გულსა, როგორც უმანკო ქალის მძუნება.

— ნუ ცუდქოფ, ნუცუდქობ, ჩემო საუვარელო მიხეჩილ! ალფრისით უზასუნა კაროლმა, მე ვხედავ რომ შენ გაგომსია ვე თაფი ვაღტერისა ზ რუსიოს ფანტასიებითა, იმათი ახრები ისძარების მსოფლოდ თეორიაში.

— მე მჯერა თქუწნო დიდებულებავ, რომ სოკიერის შემთხვევაში გამოდგებიან.

— რაო, მოუჭრა სიტყვა კაროლმა, აგრე თითქმის ისმის.

— თუთ თქუწნევე კელმწიფევე დაერწმუნებოდით ამ ახრს, თუ რომ ქალი დახსლოებით გაგეცნათ, იმის სიმძუნეიერეს ის თეორია მოჭეავს ახსებაში.

— ფითომ აგრე ლამაზია ვე ქალი? ჭკითსა კოროლმა.

ოგინცვიმ ისეთის ტებილის სიტყვებით გამოუნატა სიმძუნეიერე ელვაბეტასი, რომ გამტერდა კოროლო,

თათქო იმასეღ ლამასო ქალი ქუჭუნანასეღ არ უოფო-  
ლიფოს.

— თუ ნამდვილათ ზგრეთია ქალი მამ ღირსია ზა-  
ტოვის ცემისა ზ ურიგო არ იქნება შეიქმნას ლითვის  
გეტმანის მეუღლე.

— ვგონებ უმაღლესის სარისის ღირსიც უნდა  
იქოს. უპასუხა ორ ახროვანად ოგნიცკიმ, რომელმაცა  
უანბო კაროლს ბოშის მკითხაობა ზ იმისი წინასწარ  
მეტყველება.. კოროლი დაჟუქრდა.

უნდა ვსთქვათ, თუთ კოროლიც იყო მეტად ამოდ  
მორწმუნე ზ ამ მიხესით წარმოედგა სხუა ფიქრები;  
მცირე ხანს შემდეგ ბმანებლობის სმით კოროლმა უთ-  
ხრა ავინცვის.

— მამ მახვენე ახლავე სადგედოფლო!

— ავინცკიმ წარბებიშეიქმუნა, რასაკვირველია იმას არ  
მსიამოვნა ამ გვარი კოროლის ბმანება, რადგანც კა-  
რგათ იცოდა, რომ ის იყო მოტრფიალე ლამასის ქა-  
ლებისა ზ ამის მიხესით ვერა ბედავდა ელუბბეტას ჩუ-  
ნებასა. ამიტოვაც განუძა ზ არა მოახსენარა.

— აჰა, შესძახა სმა მაღლა კოროლმა, გეტეობა  
შენ ბოშამ გვანუნა სწორეთ ისე, როგორც ვერ გა-  
მოვიცნადებია შენი ახრი, მოიგდო ველში საკელმწიფო

კვირგინი, მიკვირს, განაგრძო კოროლმა დაცინებით, ქმარს მოძავლის კოროლევისას ანკი რათ უნდა ჭქონდეს ეჭვი, რომ თვითონაც შეიქნება კოროლათა, ნამეტნავათ მაშინ, როდესაც თვალთ მაქცი ბოძის ქერის ერთ ადრევე შეუტევა, დიდად შემცდარი კი ბძანდები მაგ აწრსედ, გამიგონე უფალო მაგნატო, შე ამ საქმესედ უეჭველად მივწერ ვოლტერსა.

ვოლტერს იმ დროს დიდკაცობა დიდად ჰატეოსს სცვალა და ოგნიცვისაც დიდად მორიდება ჭქონდა იმისი, ამის გარდა ოგნიციმ იცოდა, რომ კაროლი არ მოეშუებოდა, რომ არ ეჩვენებინა ქალი, და რომ გადარჩენილიყო კოროლის დაცინებასა, გაბუდა, წარედგინა ელუაბეტა და თვითონკი მოშორდა.

რაკი დანახა კოროლმა ელუაბეტა, დიდად გაუკვირდა იმისი სიმშენიერე, თითქოს აირია და ჯერ სმა ვერ გასცა, რადგანც თავისსიციცხლეში იმახედმშენიერი ჯერ არსად ენახა, კოროლი დღე და ღამე ერთული ქალებში, განვითარებული იმათთან ბახსობითა, ელუაბეტას სმის გაცემას ვერ უბედავდა, ისე შეკრთა და ისე გაქედა, რომ არ იცოდა რა საგანსედ დაეწყო ლაპარაკი, რამდენიმე წამის შემდეგ ღონე მოიკრიფა და უთხრა:

— მომიტყუეთ რომ შეკაწუსეთ.

— რას მიბძანებთ თქვენს დიდებულებავ, უდიდეს მოწულებად მიმჩნია თქვენსი უურადლება, მოასსენა ელქაბეტამ.

— მე მხოლოდ ვისურვე ნახვა მოძავლის კაროლევასი.

— ჩემი ბედნიერება დამოკიდებულია მხოლოდ კეთმანზედ; მე არა ვგონებ ღირსი ვიყო მავ წოდებისა.

— თუკი ის მოელის კაროლობასა, თქვენ რადა ეჭვი უნდა ექონდეთ?

— მე მხოლოდ მონატრე ვარ იმის სიცოცხლისა, რომლისგანაც კვალადცა მოველი ბედნიერებასა, მაგრამ არიან უმაღლესის ხარისხისანი, რომელნიცა თუთან სიცოცხლეს ატარებენ უსიამოვნოდ, მე კი არა ვარ მონატრე იმისთანის ბედნიერებისა, რომელიც უნდა შეიქმნას ჩემ საწამლავად ზ სასიკუდილოდ.

— მავ აზრსედ ვერ კეთანსმები, რადგანც ვიცი რომ აღაძიანის ბუნება, ვერასფრით ვერ შეიქნება კმაყოფილი ზ სულ ებრძვის მოძატებულს სიმდიდრესა ზ ხარისხსა, თუნდა სიცოცხლედ ღირდეს ამაყედ, თქვენც დამერწმუნებით.

— რა მოგასსენოთ, მე დიდად კმაყოფილი ვახლავ-

ვარ ჩემის მდგომარეობისა.

— მართალია, მაგრამ თქვენ მოვლით უმაღლეს ხარისხსა და რათა კარგავთ იმ ღირსებასა. იმედოვნების დიმილით გაუტარა კოროლმა თავის თავსად.

— კოროლი იყო უცლოლშვილო და ამ ლაპარაკის შემდეგ თუძვა ელჟაბეტას სხუა და სხუ ახრებმა გაუფლუეს, მაგრამ დიდადა სწუხდა გეთმანის დამორებასა, იჯდა თავის ოთახშია და მრთელი დღე სტანოდა, არ იცოდა რა ექნა, ვერცა ბედავდა კოროლის უარის თქმასა, ვერც შეატეობინა ოგინსკის, კოროლი რა საგანსად ელაპარაკა.

კოროლს თუძვა ბევრი საკულმწიფო საქმე მოვლოდებოდა ვარშავაშია, მაგრამ იმ ქალის გულისათვის დარჩა სამი დღე ნაბორსკი და მეოთხეს დღეს გაემგზავრა ვარშავისაკენა და თანვე წაიუვანა სახლის ჰატრონი ოგინსკი, რომელსაცა არ დასცაღდა დაწერილებით შეტეო ელჟაბეტას ლაპარაკი კოროლთანა.

კოროლი და გეთმანი ვერ კიდევ გამოცილებულები არ იყენენ სოფლიდგანა, როგორც იმათ ჰირ და ჰირ ბილიკის გზასად გააქანეს ვარშავისაკენ მშვენიერი კოლიასკა, რომელშიაცა იჯდა მშვენიერი ელჟაბეტა კალიასკას მოაცილებდნენ სამნი ვახანნი და ღუნერადა

კონარქესკი, რომელიც იყო უფლის გულის სურვილის აღმსრულებელი პილძის კოროლის პონიატოვსკისა. თუძცა მართალია ოგინსკი იჯდა კარეტაშია კოროლთანა, მაგრამ მწუსარებისაგან აღარა გაეგებოდა რა ჭ ან რაღას განაწობდა რომ თვალით დაინახა, როგორც მიაფრენდენ იმის საყვარელსა. ან როგორ წარმოიდგენდა, რომ კოროლმა უნდა წაართვას ამას ნუგეში. კოროლი მშვენიერი თვალტანადი, ჭკვიანი, განვითარებული ტრფობაში, რაღა თქმა უნდა რომ გადარეკდა ჭერ გამოუცდელსა უმანგო ქალის გულსა, რომელსაცა მეტად შეაუვარა თავი, იმისმა სიმიდაბლქმა, სანასლქში ცხოვრებაძა, აგრეთვე იმედმა, რომ ოდესმე უნდა შექმნილიყო კაროლევთა. ექლახეტას ძალე და ავიწყეს პირველი თავის მწუხლობელი გეთმანი ოგინსკი, მაგრამ დიდად შემცდარი იყო ქალი კოროლის ტვილის იმედითა ჭ რომ წარმოიდგენდა ის უნდა გაუბედურდეს, მაძინ თავს წარი დაეცემოდა.

ოგინსკი დიდათა სწუხდა კოროლას უკანონო ქცევასკად, იმის დალატობასკად, მეტადრე მეკობრისაგან, ჭაურისაგან აღარა ჭქონდა მოსვენება, სისსლის მტრით გადაეკიდა ჭ მოუთქენლაჲ მიულოღა მაკიერას გადასდასა, კოროლი თავის ძსრით ამით ცდილობდა კიდევ



დალოებოდა მწარედ გაგიჟებულს ოგინსკისა. იმ დროში იყო შემდგარი კონტყერენციის სასოკადოება რომელსაცა ჰქონდა დასაღუზავი დიდი ძალი როგორ, კოროლხედ, ისე თუთ ზოლმაზედაც ოგინსკიც მიემსც რო იმ სასოკადოებასა, რომელთაცა დიდად შეაწუსეს კოროლი, ეს უკანასკნელი დაწმუნებული იყო ოგინსკი სამაგიეროს გადაუსდიდა.

რამდენიმე ქაში ელუხაბეტა იმყოფებოდა კოროლთან სისახლეში, სადაცა იმედი დაეკარგა რომ უნდა გამსდარიყო კოროლევათა, რადგანც კოროლი იშუიათაღდა შევიდოდა იმის ოთახში, ელუხაბეტამ მაშინ გაახილა თვალები ზ დაინახა რომ დიდად მოტყუვდა, მაგრამ რაღას უშუელიდა. კოროლმა, გავრილებუცა ელუხაბეტას სურვილისაგან, აღარ ინება იმისი შენახვა სასახლეშია, მაშინ დაიბარა ერთი ზოლშის აწნაურბივილი რომელიცა იყო გვარად კოროლი ზ იმახედ ჯვარი დასწერა, ამ სახით დაითხოვა სასახლიდამ, თითქოს აღასრულაო თავისი აღთქმა, სიტყვის მიცემა ზ კოროლევათ განადა. საცოდავი ქალი ამ სახით გაუბედურა ზ შეარცხვინა, რომელმაცა შესწირა კოროლს თავისი უმანკოება. ერთს საღამოს ქაშსა კოროლი, დაფიქრებული იჯდა თავის სენაკშია, იმ დროს მიაღრუხეს

დაბეჭდილი წიგნი, სახეაროთ რა გასსნა, წაიკითხა:

თქვენსო დიდებულეზ!

«ცაში ღმერთი & ქრესტანასედ კელმწიფე, ეს ორნი სართ ჩქსნი მოსამართლენი. შენა ბძანდები ჩქსნი ქვეუნიერი მეფე, ჩქსნცა ვართ შენი მორჩილი მწუქმსნი? შენგან მოველით მეოსებასა, სამართალსა, ნუგემსა, მაგრამ შენ კი ჩქსნ გვტანჯავ & ავრცელებ ჩქსნში ბოროტებასა, შენა სარ ჩქსნი მსაჯული, შენი ვალი უნდა იუოს, თუ რა უსენაესი მეფე ცისა & ქვეუნიისა, რომელსაცა რა ზასუსს აძლევ შენს უსამართლოებასედ? შენ გვაჩვენებ ცოდვს გზასა, ეგ არის მეუის სვინიდი-სი & მართლმსაჯულება? მე ვიყავ შენი უქვემეურდომი-ლესი მორჩილი მონა, ასლა რადა უნდა ვიყო? რას უმართლებოდნი იმ საბრალო უმანკო ქალსა, რომელმაცა თაჳი შემოგწირა & შენკი შეარცხვინე საქვეუნიოდ; განა წესია კელმწიფემ სად რა მოიწონოს, მოიტაცა ცოსანე გონია მეფე რომ ბძანდები, ვერაჳინ მოკკითხავს შენს უსამართლოებასა? ღმერთი! აღსრულდება სამართო წერილის სიტყვა» რომლითა მიუწყეთ, მოგეწყეთ თქვენს!» ამ წიგნს გამოუაცხადებ საქვეუნიოდ & გარდაუცემ შვილის შვილთა. დაედსენ იმათ განსა-

ჯონ ჩუჩნ შორის ურთი ერთი მდგომარეობა ზ იმა-  
თვე მიავონ დამნაშავეს ღირსეული სამართალი.

ლიტოვსკის კეთიანი ოგინსკი . . .

ელჟაბეტა, ჩვეული კელმწიფის სასახლეში ცხოვ-  
რებასა, უკანასკნელი მდგომარეობა ვერ შეითვისა,  
სწუნდა დიდ ხანსა, კახდა ავად ზ ჩავარდა ქვეშაგებათა.  
მოიწვიეს აქიმები, მაგრამ იმათი წამალი სრულებით  
არ მიიკარა, რადგანც ეუბნებოდა, სულით ავით შეოფს,  
წამალი არას არგებსო. იმან ღათისოფა ექიმები, — რო-  
დესაც შეტად შეძიძა, ზ იმედ გადაწვეტილი შეიქნა,  
მოითხოვა მოძღვარი ლოცვა კუროსეფისათჳს, მოძაკუ-  
დაჳმა სნეულმა დაიწერა ზირჯვარი, ემთხუია ჯვარცმასა  
ზ მღუღარეს ცრემლით მოახსენა სულის მამას: მამაო!  
მოახლებულა უკანასკნელი ქაში ჩემის სიცოცხლისა, მე  
ვარ დიდბდ ცოდვილი ამაო სოფლის დიდების კატა-  
ცებით, წავიწმინდე სული, დიდებამ ზ ზატვის მო-  
ვერებაში ისე შეძიტაცეს, რომ უღალატე ჩემს ერთგულს,  
მეოხეს, ნუკემს ზ იმედს, რომელმაცა არა არსითგან  
არსებაში მოძიუანა, ჩემის მიხესით სისხლის მტერი  
შეიქნა თავის მეგობრისა, მე არ მეძინიან სიკვდილი-  
სა, მსილოდ მეძინის წაწმინდისა, რა სვიტდისით უნდა

წარვდგე საძინელს სამსჯაროშია & რითუნდა ვიმართ-  
 ლო თავი? მე არა ვარ მამაოღირსი, თქვენის ლოცვა  
 კურთხევისა, მაგრამ ვევედრები & თაუვანსა ვცემ ღმე-  
 რისა, შევინანიებ ჩემს შეცოდებასა, — თქვენცა მამაო  
 გთხოვ შეამაგლობას წინაშე უსილაგის & მრავალმოწ-  
 უალისა. ამ ლაპარაკის შემდეგ რა შესუსტდა, გაჩუბდა.  
 მოძღვარმა შენიშნა ცრემლები თვალებზედ, რომელსაცა  
 ამ დროს თითქოს ნათელი დაადგაო, ისე უბრწყინა-  
 ვდა სახე. ცოცხა ხანს შემდგომს კიდევ თქვა. მამაო,  
 მე ობოლი ვარ, უდედმამო, მრჩება ერთი მსოფლოდ  
 შეილი, უმანკო გრავი, იქნება იმან ოდესმე მიკურთხე-  
 ბილოს საფლავი, ის მიკითხავს დედასა, & ჩემს ხმას  
 ვერსად გაიგონებს! მომაკუდავმა თვალები ჭერში გაა-  
 შტერა, რა დაუჭირა კელი მოძღვარსა, — მაკურთხე . . . .  
 შენდობა მიბძნეთ ვკუდები . . . ძლივსდა წამოიღუღ-  
 ლულა & განუტევა სული. მოძღვარმა გულს კალები  
 დაუკრიფა, შენდობა უთხრა & გამოვიდა.

როდისაც კეთიანმა ოგინსკიმ შეიტყო იმისი სიკუდილი, დიდად შეწუხდა, ეს იყო მაშინ როდესაც დამარხეს კიდეც. ის მაშინვე მოვიდა თავის სოფლიდამ, საფლავი აკურთხებინა & ზედ ააშენებინა ძეგლი, რომელსედაც დააწერინა: «აქა განისვენებს, საბრალლო უმანკო მსხვერპლი, წარმკითხველნო შენდობა მიბძანეთ!..»

მიხეიდ ზივანია.



## დიდ კაცს.



ჩემო ძმობილო! ნუ ითაკილებ,  
დიდ კაცს საწუალი რომ ძმად გიწოდებ,  
მეც სული მიდგა, შენებრ კაცი ვარ,  
დიდის კაცობით თავს ნუ იწონებ.

კარბატ დაფიქრდი, ისე მითხარი,  
სომ წაგვიტოხავს მაცხოვრის მცნება,  
კაცის წოდება რაც რომე არის;  
ან რაც მასთან ვაქუს შენ კავშირება!

გუშინ როს იუჟ დამდაბლებული,  
ველასთან იუჟ შენ მორჩილებით,

დღეს რომ შეიქენ განდიდებული,  
რადა ხარ სავსე ამჰარტაუნებით.

იფიქრე ის რომ შენებრივ სხვასაც,  
უნდა შენ გვარად მარად ცხოვრება,

მიკვირს თუ როგორ გძინავს. ისვენებ,  
რომ ძმა შიმშილით თვალ წინ გიკუდება.

გული ხარისხით მრთლად აკვივსია,  
იუურები გარს თითქოსო ასე,

ამა ქვეუნად სსუა არ გაჩენილა,  
დამჯერდი, არხარ შეტი არ ვისყე.

«ისე განაგებს შენსედც ბუნება,  
ისე მოხვდები წუთ სოფლის ცელსა,  
ღ ისე სული შენც აკმოხდება,  
როგორც შენს მსახურს უკანასკნელსა . »

ჩემო მშობილო! დიდი კაცი ხარ,  
მაგრამ დღეს რომ მაგ ადგილსედ ზისარ,  
ნეტა რას ფიქრობ შენებრ კაცთათვის,  
ნეტა, მითხარი, მძას რას არვისარ?

ქერივი, ობოლი, ოხერ, ტიალი,  
შენი ნაკვეთი, სულ შენი ძმები,  
ზოგი რასა ვთხოვს ღ ზოგი რასა,  
არა თუ შეელი, არ ეკარაბი.

სიღარბისგან მრთლად დაცემული,  
ოდეს მოგმართავს, ვით თავის მსხნელსა,  
შენ საწუალოთავს, არ გტკივა გული,  
ღ ნაცვლად შეელის შენა ჰკრავ სელსა.

ჭამა, სმა, ღსინი, მარად შექცევა,  
სიამოვნებად გადაგქცევა,

ღ ლუკმა ჰური ვის ენატრება,  
მოიგონე რომ ის მძა შენა.

როგორ უეურებ აგრე გულ კრილად,  
მწუხარებით ქმა როს წინ გიკედება;  
ეს მოქმედება, ჩემო ქობილო,  
იცოდე, ერთსელ მოკვეითება!

ი. კარეხელიძე.

1874 წელსა

მარტის 18.

ტფილისს,

---



## ქუჩენიერებაჲ ედ.

---

ცისკრის მეორე ნომერში ვსთქვით, რომ ჩუწნი დედამიწა არის ჰლანეტი, ესე იგი, ეს არის ბნელი სხეული, რომელსაცა ეძლევა სინათლე მზისაგან; თუ რომ ჩუწნი დედამიწა ანათებს სხუა ჰლანეტებს, ეს ამასა ნიშნავს რომ, მსე ანათებს ჩუწნს ქვეანასა & ჩუწნი ქვეანა განათებული მზის სხივებისაგან, აძლევს სინათლეს, ანუ უნათებს სხუა ჰლანეტებსა, იმ სასითუა, როგორც მთვარე ღამით ანათებს ჩუწნს ქვეანასა. ჩუწნი ქუჩენა უფრო მეტად უნათებს მთვარესა, რადგანც სხუა ჰლანეტებზედ მთვარე უფრო ახლო არის ჩუწნსედ.

როგორც სხუა ჰლანეტები, ისე ჩუწნი ქვეანაც მრგვალი არის. რომ ერთიან ჰლანეტები მრგვალნი არიან, ეს მტკიცდება ამით რომ რომელის მხრითგანაც უნდა შევხედოთ მრგვლად გვეჩვენებინ; რამ ჩუწნი ქვეანაც მრგვალი არის, ეს დამტკიცებულია მრავალთ ასტრონომთაგან, რომელთაცა მრავალჯერ მო-

ვლილი აქვს ეს ქვეყანა.

როქელს ალაგსიდაც, ანუ როქელს ქუჭანამაიც უნდა წავიდეთ & დავდგეთ, რომ შევხედოთ ცას, გუჟყუნება, თითქოს შრეკლად გადაკრული გვაქვს თავსედო & თითქოს იმ ცის ნაწირები, დაშვებულნი ოთხკუთხივ, რასქდმე არიან დაკვიდრებულნი; იმ ცის ნაწირებს, როქელიცა ოთხივე კუთხივად გადაქანებულნი არიან & იმცს იქით ჩუქნ ველარსა ვხედავთ, ჭკვიან კორიზონტი. ამ კორიზონტსედ სდამოთი რომ მსე დაეშვება, იმალება; ეს არის დასავლეთის მხარე. მეორე დილით, მეორეს მხრითგან მსე ამოდის & ისევე გუჟყუნება, ამ მხარესა ჭკვიან აღმოსავლეთი. შორს რომ შენობა იყოს რამე, იდგეთ რომელსამე მინდორსედ & იმ შენობას შორითგან უფურებდეთ, ასე გვეკონება & გუჟყუნება, თითქოს ცის ბოლო, ანუ კორიზონტი იმ შენობასედ დაშვებული არისო, მაგრამ იმ შენობასთან ასლო რომ მივიდეთ, ვნახავთ რომ ეს კორიზონტი იქიდანაც შორს არის & იქიდანაც გუჟყუნება თითქოს იქით მხრისკენ დაშვებულია & იქ არის იმისი ბოლოგო. აქედან გამოდის აი რა:

1, რამდენსაც ადგილს ვიცვლით, იმდენი კორიზონტის მდგომარეობაც იცვლება, ან კიდევ უფრო ვა-

მორკვევით ზე ცხადათ ვთქვათ, ვოველს ადგილს თავისი გორიზონტი აქუს. ამ გვარი მოვლინება მსოფლოდ მოხვდება იმ სსეულსედ, რომელიცა არის მრგვალი.

ერთს ალაგს რომ ვიცვლით ზე მოვდივართ სადმე, ეს ადგილი თვალთგან მოვუფარება ზე მეორე ადგილსა ვხედავთ, ეს ამისთვის რომ ჩუწნი დედამიწა მრგვალი არის ზე გადაქანებული. რასაკვირველია დედამიწის სიმრგვლეს თვალთ ვერა ვხედავთ, მაგრამ ეს კი ასე არის ზე მრავალი მეცნიერთაგან დამტკიცებულია.

რომელს ალაგსაც უნდა დავდეთ, ფენები მიქცეული გვაქუს ჩუწნს დედა მიწისაკენ ზე თავი ცისაკენ, რადგანც ქუჭქანა ტრიალებს, ღამით თავ ზევირა ვდგევართ, — რასაკვირველია ვინც არ იცის კავიროვებს, რომ დედამიწას არა ვსხლტებით ზე უფრესულში არ ჩავარდებით, მაგრამ ჩუწნს დედამიწას ისეთი ანდამატური ღირსება აქუს, რომ არა სსეულს თავისგან არ იშორებს ისე იხილავს თავისკენ. ჩუწნ რომ ვდგევართ, ჩუწნს ზირდაზირ, ქვეყნას მეორე ზურგსედ კანნი ფენებით ჩუწნკენ არიან მოქცეულნი, იმ მეორე ქვეყნის ზურგსედ მცხოვრებთ ეწოდებათ ან დიზადები.

როდესაც მსწავლულთ ასტრონომებს უნდა გამოეკვლიათ თუ რა სახისა იყო ჩუქნი ქვეყანა, გამოკვლადნენ ორის გემით, ერთი გემი წავიდა აღმოსავლეთისაკენ, მეორე დასავლეთისაკენ, რომ ჩუქნი ქვეყანა მრგვალი არა ეოფილიყო. ეს გემები თავის დღეში ერთად არ შავრებოდნენ, მაგრამ რამდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ ეს გემები ერთად შავრნენ, & ერთის გემის ასტრონომები შეეპარნენ მეორე გემის ასტრონომებსა, აი ამითი დაამტკიცეს რომ ჩუქნი ქვეყანა არის მრგვალი. მამ რადგანც ჩუქნი ქვეყანა მრგვალი ეოფილა, უნდა იდგეს რაზედმე? არა, ეს ასე არ არის; თუცა მრგვალია, მაგრამ ის არაფერსედ არა დგას; ქუჭყანატრიანებს ჭავრში, იმავე ძალით, რა ძალითაც ტრიანლებენ & იძვრიან მთვარე & სსტუა ჰლანეტები, აგრეთვე მსე, ერთის სიტყვით მრთელი სილული & უხილაჳი ქუჭყნიერება. მამ ძველი ხალხი, რომ ანობდა ქუჭყანა გველამაჳსედა დვასო, დიდი სიცრუე ეოფილა & არის.

როგორც ჳემოთა ვოქუთ, საიდანაც მსე ამოდის. ჳქვიან აღმოსავლეთი, საითკენაც ჩადის დასავლეთი; ისე რომ დაუდგეთ, ჳორი აღმოსავლეთისაკენა ექნათ, მამინ მარცხენა მხარე იქნება ჩადილიეთი & მარჯ-

ვენა მხარე სამხრეთი. გამოცდილებით ვხედავთ რომ ძროელი წლის განმავლობაში, ხან მზე ჩრდილოეთისკენ იწევს & ისე ჩადის დასავლეთისაკენ & ხან სამხრეთისაკენ; ეს წარმოსდგება იმისგან, რიან ჩუქნი ქვეყანა ტრიბლმა იცვლის თავის ადგილს & მზე ასე ამისათვის გვეჩვენება, ეს არის მაგისი რომ წარმოდგება ზაფხული & ზამთარი. შუა დღის დროს როდესაც მზე დგას ცაზედ ზედ შუა ალაგს, აქედან რომ ჩაჩი გავავლოთ სწორეთ ჩრდილოეთის მხრივ & სამხრეთის მხრივ, ამ სახსა ჰქვიან მერიდიანი.

რადგანც ვიცით, აღმოსავლეთი რომელია. დასავლეთი, სამხრეთი & ჩრდილოეთი, ამისათვის შეიძლება ვიცოდეთ, რომლის მხრისაკენ მიუღას ხოლმე მზე, ესე იგი, რომლით მხრითგან ტრიბლებს ქვეყანა. ვიცით რომ, მზე დგას ერთს ალაგს, თუძვა გვეჩვენება თითქოს დადის აღმოსავლეთითგან დასავლეთისაკენ; მაგრამ, რადგანც ჩუქნი ქვეყანა ტრიბლებს დასავლეთითგან აღმოსავლეთისაკენ, ამისათვის მზე ასე გვეჩვენება.

რადგანც ქვეყანა მრგვალი არის, ამისათვის მზე ირისცემს სინათლევსა, მხოლოდ ცალ გვერდს, მეორე გვერდზედ მაშინ ბნელა; ნასივარ ქვეყნის ზურგზედ რომ

ღამე არის, მეორე ნახევარ ქვეყნის შურგზედ დღეა; როდესაც იქ ღამეა, აქეთ მხარეზედ დღეა. ის წრე, რომელს წრეზედაც დადის მზე, იმ წრესა ქვიან ეკლი-პტივა.

რადგანც დედა-ძიწა მრგვალი არის, რომ უკეთესად მიხედეს მოსწავლე, გაუკეთებიათ ხელოვნებითი ქაღალდის მრგვალი ქვეყანა, რომელზედაც დასატულებია სხუა ო სხუა ქვეყნები, ზღვები ო ოკეანები, ამ შარსა ქვიან გლობუსი, რასაკვირველია გლობუსზედ დასატული ქვეყნები იმდენით ჰატარა იქნება ნამდვილს ქვეყანაზედ, რამდენათაც გლობუსი ჰატარა. რომ შევიტუთ რამდენჯერ ჰატარა არის გლობუსი ქვეყანაზედ, უნდა ვიცოდეთ რაოდენობა თუთან გლობუსისა. ავიდოთ მაგალითად შარი, რომელსაცა აქუს დიამეტრი ერთი ადლი. ახლა რომ შევიტუთ, თუ რამდენჯერ ჰატარა არის გლობუსი ქვეყანაზედ, უნდა ვიცოდეთ ჯერ ჰირველად, თუთან ქვეყანა რომელზედაცა ჩუწნა ვცხოვრებთ, რამოდენაა? მსწავლულთ როგორც შეუტუვიათ ჩუწნის ქვეყნის სიდიდე ამაზედ პერმეთ მოვილაპარაკებთ. ჩუწნს ქვეყანასა აქუს სიმგრგულე ცხრა-მეტი მილიონი მამ ცხრა-მეტი მილიონჯერ ჰატარა ე-ფილა გლობუსი ქვეყანაზედ.

მთვარე, როგორც შემოთაცა ვთქვით, უკვლავ ჰლან-  
 ნეტყედ ჩუქნსედ ახლო არის, მაშ ის უფრო კარგათ  
 შესწავლილი ჰ გამოკვლეული გვაქვს, რომ ვუყურებთ  
 მთვარეს, ასე გვგონია უკვლავ ჰლანეტებზედ ის დიდი  
 იყოს, მაგრამ მთვარე ჩუქნს ქვეყანაზედ ორმოც ჰ ათ  
 ჯერ ჰატარა არის. მთვარე თითქოს იმოდენა არისო,  
 რამოდენაც არის მზე, ისე გვეჩვენება, მაგრამ მზე მთ-  
 ვარეზედ მილიონ ნახევარჯერ დიდია. მთვარე ჩუქნს  
 ქვეყანაზედ მოძორებით არის ორმოც ჰ ათი ათას მი-  
 ლზედ, ერთი მილი შვიდი ვერსია) რადგანც ასე ახ-  
 ლო არის ჩუქნსზედ მთვარე სსუა ჰლანეტებზედ, ამი-  
 სათვის ტელესკოპების საშუალობით მსწავლულთა უკეთ  
 შეისწავლეს მთვარის გარემოება ჰ ის ჩამქრალებული  
 გამოსატყუება, რომელსაც ვხედავთ მთვარეში, რომე-  
 ლსაც ჩუქნს უკვლავნი ვხედავთ სადა თვალებითა ჰ  
 რომელიცა გვეჩვენება, თითქოს ადამიანის ცხვირ ჰიწი  
 არისო, არის ჰ არიან მალაღნი მთანი, მთვარეზედ  
 სრულებით არ არის არცა წყალი ჰ არცა ჰჰერი; ამი-  
 სათვს იქ არ შეუძლიან იცხოვრონ იმ გვარ სულიე-  
 რებანს, რომელ გვარსიცა სცხოვრებენ ჩუქნის დედამი-  
 წის ზურგზედ. მრთელი მთვარე შედგენილი არის მხო-  
 ლოდ მინერალურის ნივთიერებისაგან.

მთვარე უფლის ჩუწნს ქვეყანასა, როგორც ჩუწნ  
 ვეღანი ვხედავთ სადა თვალითა, ოც ზ რვა დღის  
 განმავლობაში, ამ დროს განმავლობაში ჩუწნის ქვე-  
 ყნისაგან აქუს ერთი ზ ოცივე მხარე მოქცეული, ამი-  
 სათჯს რომ მთვარე ტრიალებს თავის ღერძზედ, (ამ  
 ღერძს გამოვიხატავთ გონებითად) მხოლოდ ამ დროს  
 განმავლობაში, ჩუწნის ქვეყნის გარეშე. მთვარის ის  
 ერთი მხარეც ეოველთჯს არ გვეჩვენებ სრულად. რო-  
 დესაც ჩუწნკენ მთვარის ბნელი მხარე მოქცეული არის,  
 მაშინ ვიტყვით ახალი მთვარე არისო; ამის შემდგომს  
 მთვარე ცოტ ცოტათ ჩნდება; ეს ამისათჯს რომ მზის  
 სსივი როდესაც ხვდება ის მთვარის მხარე გვეჩვენებ  
 სოკჯერ მთვარე დასდგება სოლმე მზისა ზ ქუჭენის  
 შუა; მაშინ მთვარეს სრულებით ვერა ვხედავთ ზ მზის  
 შუქს ეს შავი ნიუთიერება სრულებითა ჭყარბავს, ამ  
 დროს ვიტყვით მზე დაბნელდებაო. ამ დროს არა თუ  
 კაცნი, მცხოვრებნი დედა-მაწახზედ მიაქცევენ ეურადლე-  
 ბასა, ზირუტყენიც კი იუშიშვიან ზ გრძნობენ რადასაცა.  
 აი, ესეც კვიტკიცებს ჩუწნის ქვეყნის, მზის ზ მთვა-  
 რის სიმრგვლეჯს. მთვარის სიარულის გზა კარგათა  
 აქუსთ გამოკვლეული ვარსკვლავთ მრიცხველებს ზ ამი-  
 სათჯს ადვილათ შეუძლიანო შეიტყონ ზირველადვე, თუ



როდის უნდა დაბნელდეს მთვარე ანუ მზე.

იმ უძრავ ვარსკვლავებზედ, რომელნიცა არიან მი-  
უწდომელს ცის უფსკრულში, ახლოს არის ჩუქნსედ  
მზე, ამისათვის სსუა ვარსკვლავებზედ დიდად ეკმეხე-  
ბა, უფრო ბრწყინვალედ გვინათებს, ჭ უფრო გვათ-  
ბობს. ჩუქნის ქვეყნისათვის ჰირველი ნათლის მომცე-  
მი არის მზე, რომელიცა აცრ ცსლებს კაცსა ჭ მცენ-  
რებს.

რაში მდგომარეობს ის მზის თხება, რომელიცა  
საჭირო არის კაცის სიცოცხლისათვის ჭ იძლევა სი-  
ტუოს, აქამდინ ვერა ვის შეუტყვიან.

ბნელის მინებით ბევრჯელ კაცთა უურადღებო  
უსინჯავთ მზე ჭ შეუნიძნავთ რომ ამ ბრწყინვალე სხე-  
ულში არიან რამდენსამე ადგილს შავი ადგილები, აქე-  
დან გამოიუვანეს, რომ ვითომ მზე არის შავი სხეუ-  
ლი, სოლო მნათობს ჭ ათბობს იმის გარშემო შე-  
მოსხვეული მანათობელი კანი, რომელიცა სოკი ერთს  
აღაკს თითქოს დაგლეჯილია ჭ ამ დაგლეჯილებს შუა  
გამოსჩანს შავი რადაცა ნივთიერება. ეს მზის შავი  
ადგილები ეოველთვს არა სჩანან.

მზე არის ჩუქნთვს განუქრობელი წვარო სინათ-  
ლისა ჭ სიტუოსი, რომელთაცა მოუღალავად უკვაყის

სამთარ საფხულს ჩუწნს ქვეყანასა. თუ რომ ჩუწნ გვეჩვენება რომ სამთარით სუსტათ გვათბობს მსე ზაფხულით ძრეულ, ეს ამისათვის რომ ჩუწნი ქვეყანასან შორდება მსეს ზ სან უახლოვდება. მსე ჩუწნ ქვეყანასად დიდია თხუთმეტ ბილლიონჯერ, ჩუწნგან მოშორებით არის ას ორმოც ზ ათ ბილიონ ვარსსად. ამ ჩუწნგან აწერილ ჰლანეტებს გარდა არიან კუდიანი ვარსკლავები რომელნიცა გემოხნდებიან რამდენიმე წელიწადის განმავლობაში ერთსელ. ამ კუდიან ვარსკლავების სხეული გამოკვლეული ჯერ აქამდინ არ არის. ზოგნი ერთი ვარსკლავნი სცვივიან დედა მიწასად, ესენი არიან წვრილნი ვარსკლავები, რომელთაცა უწოდებენ ჰაერის ქვასა, ანუ აეროლიტებსა. ეს ვარსკლავები შემდგარნი არიან იმ ნიუთიერებისაგან, რა ნიუთიერებისგანაც შემდგარია ჩუწნი ქვეყანა; აქედან გამოდის რომ, უველა ჰლანეტები ისეთივე ნიუთიერებისაგან არიან შემდგარნი, რა ნიუთიერებითგანაც შემდგარია ჩუწნი ქვეყანა.

## .. ზასუსი.

---

შარშანდელს აქეთ, ეს მეორე წელიწადია გამოდის რუსულს ენაზედ ვასეთი **«ВѢСТНИКЪ»** მოანბე, ერთი ვიღაცა ბებუთოვისაგან, რომლის კვარი ჩუწნს საქარს თუელოში თუძცა ვეელას ვაკონებუდი აქუს, როგორც ძესანიშნავი დიდი კვარი, მაგრამ ჩუწნ, ჯერ ცნობა არა ვაქუს იმანთან, არცა ლიტერატურის მსრივ, რადგანც ჯერ იმისი არა წავუვიითხავს რა ღირს შესანიშნავი ზ არცა სსუა მსრივ, რომელსაცა ვუწოდებთ ზირად ცნობას. ეს ვასეთი, როგორც ვხედავთ ვეელანი, ვისაც კი ვეე'მის რუსული ენა, სულ ქვემ უნდა ვსთქუათ კარგი ვასეთია, მაგრამ ამასა ვწუხვართ, თავის ოსუჯურ ანუ ირონაურის მოქმედებით, ისეთ სიმართლესედე შეიქნება წინააღმდეგი, რომ თითქოს რაღაცა სიმურის ნიშანი გამოძეტველებს ამ ვასეთის მოქმედებისაგანა. ჩუწნ წავუვიითხეთ, ჭეშმარიტათ აღარც კი ვვანსოვს რომელს ნომერში, ამ ცოტას სნის წინ, სადაცა დაბეჭდილი იყო ნათარგმნი სტატია ი. კერესე-

ლიძისა, ტფილისის გიმნაზიასუდ, & შესავალის ნაც-  
ვლად, ერთ ვიღასაცა გაეკეთებინა შენიშვნა, რომლი-  
თგან ცხადად გამოძეველებდა, რომ ქელიოვსკის  
დიმნაზიასუ სიბეჯითუ & იმისი სასარგებლო მოქმე-  
დება, თითქმის დიდათა შერსო. ოსუჯობით კი იყო  
გამოთქმული ეს შენიშვნა; მაინც ოსუჯობას უჭირავს  
თითქმის უოველთჳს ფელეტონის ადგილი. იმ უფალს  
ავტორს, უნდა დაეწერა ამ გვარი შენიშვნა & დაე-  
ცინა თვრამეტის წლის ჟურნალისტის კერესელიძისათჳს,  
როდესაც ეს იმათი გასეთი, «მოანბე» თვრამეტ წე-  
ლიწადს იღოდიანლებდა & ამ თვრამეტის წლის ღო-  
დიანლებაში სული არ ამოსვლოდა. საქმე დაცინვა კი  
არ არის, საქმე ის არის კაცი სვინდისინათ დააკვი-  
რდეს, თავის თანამოძმის მოქმედებასა. მერე იმ გვარ  
საქვეურო საქმეში, რომელშიაც კერესელიძე ასე მოუღა-  
ლაჳდ გართულია; ჯერ ჰირშჳესლად ეს უნდა მოგა-  
ხსენოთ უფალს შენიშვნის ავტორს, რომ კერესე-  
ლიძის სტატია დიმნაზიასუდ თქუწნ ისე ვერ გითარ-  
გმნიათ, როგორც ნამდვილში იყო; ჩუწნ დიდის უუ-  
რადღებით წაგვიკითხავს ის სტატია & დიდი უურად-  
ღებაც მიგვიცია. რაო? გული გავგიპირა, თუ რათ  
აქებჳე ღოსოვსკისაო, კერესელიძეს ქელიოვსკი არ უქია,

იმან ღლანარაგა ღიმნაზიის გარეგან ღ მინაგან ღირსებასედ; იმან აკვიწირა ახალი, გადახლისებული გიმნაზია, მოგვაგონა ძველი ღ ქელისოფსკი გამოიგონა მოქმედ ზირად ამ განახლებაში. რაო? ტყვილია, აბა გულსედ კელი დაიკრიფუ ღ ჭეშმარიტებით სთქვით, არაო? ეს ღიმნაზია თითქმის რაც დაწესებულა. ორ მოცამდინ წელიწადია, ამდენის დროს განმავლობაში, მკონია ერთი თხუთმეტეცარი დირექტორი გამოცვლილა; ვინ იფიქრა აბა ამ ღიმნაზიასე; თუ ფულსედ ვიტყვით, ამას ფულების დონის-ძიება ჭქონდაო; ამასე ძრიელ შევცდებით. რაც ფულის დონის-ძიება ამასა ჭქონია, ესეთიფუ დონის-ძიება ძველ დირექტორებსაცა ჭქონდათ; მაგრამ რა ხაჭიროა ან კი გარეგან ღიმნაზიის ღირსებასედ ღლანარაგი; ჩუწნ უნდა ვსთქვათ ჭსწაულასედ, თუ რა სწავლა ახლან იქ.—ეს ძრიელ ადვილი მისახვედრია, თუ წავიკითხავთ ზოგი ერთ მოწაფეების თხულებებს ღ თითქმის ღექსებსაც; აბა ახლა იმათი მუხიკა,—აბა ნახეთ იმათი ორკესტრი, თუ ჩუწნ თატრის ორკესტრს არ შედრით. რატომ არ იყო ესენი ძველს გიმნაზიაში, სადაცა კარგათ კვანსოვს, ერთი ქართულის ბაიათისათჳს, ჩემი ამხანაგი ორი დღე ცალკე ოთახში დამწუფდელი იჯდა; თუ

რათ შემოსძახე აქ ბაიათიო. მიბძანდი ახლა ჭ რომ-  
ლის მხრის ჭ თემის სიმღერაცა გსურს, შემოსძახე,  
ვინ დაგიშლის, არა თუ დაგიშლიან, მადლობასაც გუ-  
ტევან, მეტადრე ჩუწნი გონიერი ემაწვილები, რომე-  
ლნიცა სულით დაეძებენ შემთხვევას თუ რა შეიძინონ  
ახალი. რამდენს ადგილს გვექონდა ამ ღიმნაზიაზე ბა-  
ასი, რასაკვირველია ზოგნი წინააღმდეგს ლაზარაკობ-  
დნენ ჭ ზოგნი არა. მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ  
კარგა ხანი სჯის შემდგომს, ხმა გაიკმიდეს ჭ ერთბა-  
მად სთქვენს, მართალიაო. ასე ჩემო ბატონო, კერე-  
სელიძემ, როგორც თქვა თავის სტატიაში, კარგ მთქ-  
მელს, კარგი გამგონეც უნდაო, ეს ჭეშმარიტული ან-  
დასა მოიტანა,

ადგუთელი.



# კოსტანცია კონცარინი

---

მკითხველებს უანბოთერთს ანბავსრომელიცა მიმს  
ღარა იტალიაში ამ ახალს დროში, საიდამაცა სცნო-  
ბენ იტალიის ხალხის თვისების ერთს მხარეს. ეს ან-  
ბავი აი რაში მდგომარეობს: იყო ერთი გერმანიითგან  
ნემეცი, რომელსაცა ერქვა არსკეიმი ზ რომელიცა ისე-  
თის სანახაობისა იყო, რომ ქალები გიჟდებოდნენ იმის  
სილამაზისაკან. ის იყო მადლის ტანის ემაწვილი  
კაცი, ღამასათ მოუვანილი, თეთრწითელი, ჭქონდა  
ოქრომკედის მსგავსი თმები ზ მრტყელი შუბლი; მა-  
გრამ, იმას თითქოს ეს თავისი სილამაზე არაფრად  
მიანდა, ის იქცოდა ყველასთან გულგრილად ზ ეს  
იმასი გულგრილი ქცევა, ქალებს ერთი ათად უნერკა-  
ვდა სინჯარულს. იმას კარგათ შეესწავლა არსიტყე-  
ტურა ზ ამისათვის ეს საგანი ძრიელ უყვარდა; სადაც  
დიდებულს შენობასა ნახავდა, დიდის სიამოვნებითა

სწსრეკდა; ჟელანი ებეკდენ იმის ცნობის შემთხვევასა,  
 არ უჟარდა ქალაღდის თამაშობა ჭ არცა მიმდევრი  
 იყო სუდის ეოფაქცევისა. იმან მოიარა მრთელი იტა-  
 ლია, განულო მრთელი საბერძნეთის კუნძულები ჭ  
 ბოლოს ისევე მოიქცა იტალიის ქალაქში ვენეციაში;  
 აქ დაიქირავა, ჰირველს შეიდანსედ, რომელსაცა ეწო-  
 დება წმინდა მარკოზის შეიდანი ერთი სუფთა სახლი  
 ჭ დასახლდა ერთის თავის მსლებელის მასხუცებულის  
 ლალით, რომელიცა მიანდა არა თუ მსახურად, რო-  
 გორცა სჩანდა, არამედ კარგ ერთგულ მეგობრად, რა-  
 დგან წულის კიდე იმახედ ახლო იყო, ამისათჳს იმას  
 ეოველთჳს მსათა ჰქონდა ჰატარა ლოდვა განსანიგებ-  
 ლად. სშირად ჩაისვამდა სოლმე ამ ლოდვაში, იქ მეო-  
 ფთ შესანიშნავ მსწავლულს კაცებს ჭ სშირადა სჭამდა  
 იმათთან ჰურსა, წმინდა მარკოზის შეიდნის ერთს გო-  
 სტინიცაში; მაგრამ ჰირველი იმისი შემაქჳვარი ჭ  
 საჟვარელი იყო ერთი ძღუდელი, ორმოცის წლის კაცი  
 მცოდნე აგრეთვე არსიტექტორობისა. ამ ძღუდელმა  
 გაიცნო არნგეიმი ამ გოსტინიცაში ჭ შეუჟარდა ის.

ერთხელ საღამოსედ არნგეიმი დაბრუნდა შინ ერ-  
 თის განმორებულის ალაგითგან, სადაცა იყო სასეი-  
 როთა, იმისი ნაჳი მოადგა კიდესა, რომლის ახლო



იყო დიდი სასახლე ბანდარინისა; როდესაც ის ეუბნებოდა მეწაყეს, მიმდგარიყო კიდევად სიბრთხილით, ამ დროს მოადგა იმავე კიდეს სსუანავი, რომელშიაც ისხდნენ ორნი ქალნი, შესუეულნი საწვიმრებში, ამათა ჰყვანდათ თანა მდიდრულის ტანისამოსით ჩაცმული ანაბი მოსამსახურე; ორნივე ნავი ერთმანერთს ძრიელ შეეჯახნენ, ქალების ნავი გვერდზედ წაისარა ზე ამ დროს ერთი ქალი, რომელიცა იდგა ნავის ცხვირზედ გადმოსასტომად კიდევად, აზივებდა რა წუხლში ჩავარდნასა, არნგეიმი უცებ მიეშველა ზე ისე ბედნიერი იყო, რომ ჰეარშივე შეიკავა, სტაცა ხელი ზე უვნებულად გადმოსო წელის ნაპირზედ. ქალი შიშისაგან განკალებდა. არნგემს ჯერ კიდევ არ გაუძო ხელითგან, მინამ გულის კანკალს არ შეიმაგრებდა. ბოლოს, როდესაც გაუძო ხელითგან ქალს ჰირბადეა ესადა არნგეიმა დაინახა მეტი მშენიერი სახე ამ ქალისა, ვარდის ფერი ტუჩები, საიდამაც გამოინახებდნენ სადაფის მსგავსი მწეობი თეთრი კბილები; ამ ქალმა მადლობა გადაუსადა იტალიანურს ენაზედ. ასაღუაზდა ნემეცს კონგობა დეკარგა, რასაკვირველია ეშისაგან; იმან მეტის ადრეველებისაგან ამ ქალს ჰასუსი ვერა მესცარა. იმდროს ნავი მოადგა კიდევად ზე გადმოსტა მეორე

ქალიცა, რომელსაცა აგრეთვე ზირობადე რა აესხა, და-  
ინახა არსგეიმა აგრეთვე მშენიერი, ზირველის ქალის  
მკვავსი სახე. არსგეის მოედო უფრო ცეცხლი, უფრო  
მაშინ, როდესაც ამ მეორე ქალმა ამავე ზირველის ქა-  
ლის მკვავსად ნაზის ხმით მადლობა განუცხადა. რო-  
დესაც ეს ქალები წავიდნენ ზე კაჭკაჭა თან მოსამსახურე  
არაბი, რა შეუდგნენ ბუღვარს, არსგეიმა დაუნახა ამ  
ქალებს ოთხი ზაწაწა ფეხები დამადნობელი მამაკაცისა.  
ეს ორივე ქალები, თავიანთის ზაწაწა ფეხებით ისე  
მკვავსნი იუფნენ ერთმანერთისა, რომ ოც ნაბიჯსედ  
იკნენ იმისგან ზე არ იცოდა რომლის სიუფარული ჩაუ-  
არდა გულში, ამისათვის მეტი გზა არ იყო, ამ საბრ-  
ლო ნემეცს შეუფარდა ეს ოთხი ზაწაწა ფეხები.

არსგეიმი თვალს ადევნებდა თუ საითკენ წავიდოდ-  
ნენ ეს ქალები ზე დაინახა რომ ისინი შევიდნენ ერთს  
დიდ სასახლეში. ეს ორივე ქალები, არ გაუგლია ბევრ  
ხანს, რომ გამოვიდნენ ბაღკონსედა. სადამოს გადას-  
რილი დასაუფეთისაკენ მსე, საამოდ უნათებდა ამ ქა-  
ლებს, უიმისოთვე ბრწეინვალე ზირისასესა. იმათ თავი  
დაუკრეს თავაჩაანათ არსგეიმა ზე სასამოგ-  
ნოდ უქნევდნენ ხელსახოცებსა; ესეც თავის  
მხრით ალესიანად თავს უკრავდა, მაგრამ არ გაუგლია

მოკლე დროს, ეს ქალები მამხინვე შებრუნდნენ შინ & დაიძახნენ. არნგეიმი იდგა ადგილობრივ, გაქვავებული & თიხქმის ერთს ალაგას დაღურსმული, იქამდისინ, მინამ მღვდელი, რომელმაცა კ მოიარა შემოსევივით, არ გამოაყენებდა დროს ფიქრისაგან, & რომელიცა ჭკითხვდა, თუ რა მოსწონდა იმ სასახლისა არნგეი- მსა, რომელსაცა ასე დაფიქრებით შეჭურვებდა. «საკვი- რული არსიტეკტურა არის» მიუკო, არნგეიმა, რომე- ლსაცა ეძინოდა არ შეეტო ამა მღვდელს იქ დგომის მიხესი. «ჩინებული ფასადია» — შიგნითი ფასადი უფრო უკეთესი არის რომ ნახო, მიუკო მღვდელმა. თუ გსურთ შევიძლიანთ ნახოთ, მე დაგესმარებით ამასი «ნემეცს სისხლი აუღელდა. — მღვდლო, ძალიან გე- სძის ხელოვნება, მერწმუნეთ ბედნიერნი ხართ, თქვენ ეგელვან კარი ღია გაქვსთ. «ეგ ხეივო წოდების ღირსე- ბა არის, მიუკო მღვდელმა, კარებს ვერაფერ დაგვიკეტავს. მართლადაც ბეწრს ხელოვნებას იზოვნით ამ სასახლეში, სადაცა უმუშაუნია გამოჩენილს არსიტეკტორს, ამა- სთანავე ნახათ ისეთს ძველს მხატვრობასა, რომელი- ცა აღმატებიან ყოველს თქვენგან ნახულს მხატვრო- ბასა. ამას გარდა, ამ სასახლის ჰატრონს, კეთილმო- ბილს ანდრია კანტარინის ჭკონან სხვა შესანიძნავი

საომხალური ხომალდი. ნამოყნი, იმის მამანაწინაგან  
 ჭ ბეჭედი, რომლით დანიშნა ზღვასედ ჰირველი წი-  
 ნაწარი კონტარინისა. ეს ბეჭედი ისევე არ უზოყნიათ,  
 როგორც იზოყნა ზოლიკარზემ თევსის მუცელში. მაგ-  
 რამ ის ბეჭედი მოუტანეს ზღვის თევსის ფრთასედ  
 ნაქანი, რომელსაცა ინასავენ დღესაცა, როგორც წი-  
 ნდა ნაწილსა. კანტარინის შვიდ წინაწარს დაჭქონდა  
 მეფის მეწამული. ისე დიდი კაცები იუყნენ.

— მე ეკ საუნჯე, არც არა მშენს, მაუგო არნკე-  
 იმა დიმილით.

— მამ თუ ეს არა გშერს, განაკროძო მღვდელმა.  
 ჭეავს კიდევ სსუა საუნჯე, რომელიცა არ შეძლება  
 უუროს კაცმა არა მშვიდობის თვალთ. ეს ისეთი სა-  
 უნჯე არის, რომლის სამყოფის კარს კი არ დაგვიკეთენ,  
 რა არის არაფინა ნასოსთ. ეს არის, იმისი ცოლი,  
 მრთელს ვენეციაში, იმასედ ლამაზი არაყინ არის.  
 სამომავლობით არის, საბერძნეთის თავადის შეილისა  
 ჭ ძრიელ ამწარტაფანია.

— თქვენ იმას იცნობთ მამო? განა თქვენთა-  
 ნაც ამწარტაფანია? ჭკითსა არნკეიმა.

— ვიცნობ, წამოთქვა მღვდელმა. მე ძრიელ ახლო  
 მცნობი ვარ კანტარინის სასლისა, მაგრამ სსუა და-

მოკიდებულება აქვს ამ ამპარტაუნებსა . . . . ერთის სიტყვით საუფარელო მეგობარო, ამპარტაუნება ამოება არის, მაშასადამე აქ იზოვება სუსტი მხარე, რომლით შეიძლება ისარგებლო.

— იქნება თქუენ ამპარტაუნებს უწოდებთ, ქალის გრძნობასა, თაჲის ღირსების შესახებ?

— განსხვავება მხოლოდ ამაში არის, რომ ამპარტაუნებს სსუა წოდება ზ სსუა ნიშანი აქვს. სთქუა მღვდელმა ზ შესცვალა საუბარის კილო. როდისა გსურთ გასინჯოთ ეს სასახლე?

იმით დასდეს ჰირობა, მეორეს დღეს შეერილიყვნენ გოსტინიცაში ზ იქითგან ერთად წასულიყვნენ კანტარინის სასახლის სანახავათა.

აზნგეიმი მოვიდა გოსტინიცაში დანიშნულს დროს დ უფრო ადრე, ზ მოულოდა მოუთმენლივ, მღვდელს, რომელიცა, რო მოვიდა, თრნიყენი გაემართნენ. როდესაც შევიდნენ დიდებულს სვეტებიან კიბის წინა ოთახში ზ ავიდნენ მარმარილოს კიბესედ, დაუხვდათ გრძელი, ვალღერეობა, თრივე მხარეს ჩამწკრივებულის სტატუიებითა, ზ უჯვრლებითა; აზნგეიმს სიუვარულის გარდა უვალა დაავიწუდა, ისე მოეწონა შესავალის სელოყნება. ამ ვალღერეობის ბოლოს, გაუღეს კარები ზ

დაუსკდათ დიდი ოთახი, რომელიცა იყო ძვირფასად გაწუბილი. მრთული სასახლის მოსამსახურენი მოეკებოდნენ მღვდელს ალერსით, & ღიმილით, როგორც სასახლის მეგობარსა. არსკეიმი ჰკვირობდა იმ სასახლის არსტიტუტურასა & იმის ხელისუბით მორთულობასა. როდესაც შევლეს რამდენიჲე ძვირფასად დართული ოთახები, გადახედეს მის მხრე ფანჯრიოგან, სჩუჲა შენობასა.

— იქ უფალის კანტარინის სადგომი ოთახებია, უთხრა არსკეიმს მღვდელმა, იმ ოთახების ჰატრინი ახლა რომია წასული, საკელმწიფო საქმეების გამო.

არსკეიმი დაბცქერდა ერთი ოთახის კარებსა, რომლის იქით იყო სამყოფი მიუკარებელის დმერთასი; უცებ ეს კარები გაიღო & გამოვიდა არაბი მოსამსახურე, თვით ის არაბი, რომელიცა მისდევდა ქალებს ნაჲითგან რომ ვადმოვიდნენ. როდესაც მოვიდა მღვდელთან, უთხრა, რომ ქალბატონმა შეიტყო თქვენი მოსვლა & გთხოვთ ერთს წუთს შემობანდეთო; თავის ქმრის წიგნი მოვიდაო. არსკეიმი დარჩა მარტო & სიძურით უეურებდა მღვდელსა, როდესაც შედიოდა დმერთან განსახუენებელს სამყოფლოში, ის ოთახი, სადაც არსკეიმი ელოდა მღვდელსა, იყო დიდი, მორ-

თული ჩინებულად ზე გადაჭეულებდა მეორეს ბალო-  
ნის მხრით წყალსა. ის გავიდა ბალონზედ, საიღამაც  
დაინახა თავისი მცნობი ნავი, რომელსაცა ესეოდნენ  
მდიდრად ჩაცმულნი კანტერინს მოსამსახურეები. არ  
გაუგლია დიდ ხანს, ამ სასახლის მეორეს მხრის კა-  
რებითგან გავიდნენ ორნი ქალნი, საწვიმრებში ვახუუ-  
ლები, რა მივიდნენ ნაკთ საუუდელთან ზე ჩასხდნენ,  
შემოხედეს ბალონს, ზიშაღიანებმა თავი დაუკრეს  
არნგეიმს ზე გაქმართნენ; ამან რასაკვირველია აგრეთვე  
თავი დაუკრა, მაგრამ იმათმა შემოსედა ამ არნგეიმ ისე  
დაკოდა, როგორც ბასრმა ხანჯალმა. ის იღვა გამტე-  
რებული ზე გამოფინილდა მაშინ, როდესაც მღვდელმა  
დაჭერა ხელი მხარზედ; ის იცინოდა ზე ჭკითხავდა თუ  
ისე გამტერებით რას უწურობდა წყალსა.

— რისთვის არ მითხარით ემაწვილო, რომ გუშინ  
მიგსულიათ ის ჩინებული შემოსევა? ჭკითხა მღვდელმა.

არგეიმა მიუგო, რომ ისე მსწრაფილი იყო ის შე-  
მოსევა, რომ სრულებით აღარცკი მომკონებიაო.

— ეგ უბრალოთ, სთქუა მღვდელმა, ეგ არა მჯერა.  
ვევალა კმაყოფილებას, სიამოვნებისაგან მიცემულსა აქეს  
როგობითი არსებობა. დიდხნის სიამოვნება ქრწენასეოდ  
არ მოიხოვება, ამისათვის რომ ჩქარა იესრდება ზე იღალღება

კაცი, რაკი სანგრძლივ გაჭეუება. მახასდაღმე, არ უნდა გემუდდეს სწრაფლად შიშავალი კმაყოფილება; იქიდან შესდგება ბედნიერება. . . მაგრამ წავიდეთ ახლაგი ამ სასახლის დედოფალსა სურს, ამ სასახლის შინაარსი უკულა გასინჯოთ & ამისათვის წავიდა სასეიროთა, რამწავს შემოკულით სასახლეში, ერთგულ მსახურმა ეცნობებინა ჩუწნი მოსულა.

— ისანი ორნი იუენენ: ის მეორე ვიღა? ჭკითისა არკეიმბა.

— კანტარინის კარგა მეგობრის ცოლია. რაც იმას ქმარი მოუკვდა გრაფი ალბანი, მას აქეთ ეს ქალი კანტარინის ცოლთანა ცხოვრებს, ეს ქალი კანტარინის ცოლის კონსტანციაზედ ნაკლები არ არის სიღამასითა.

— ის რომელი იყო, რომელსაცა გაუწიე სამსახური ჩემს საბედნიეროთ? კანტარინის მეუღლე, თუ ქვრივი?

— ეკ ქალების საიდუმლოება არის; იმათ არა სურთ თავიანთი საიდუმლოება განამხილონ. მაგრამ წავიდეთ, სადილობის დროა.

გულის ფანცქალი მისდევდა ძვდელს ახალგაზდა ნემენცი. ჭკერი საჯსეთ ეჩვენებოდა იმის სურნელებით, ვინცა შეიჭრო იმისი გული. მუნობაები დიდად მწონდა; რომელს ოთანძიაცა შეიუვანდა ძვდელი, უკულგან



ის ქალი წამოუდგებოდა; ის სინჯავდა სასოებით ჭო-  
რტოანოსსა, გეტარებსა, ნოტებსა, ძვირფას კრიალოს-  
ნებსა, არიოსტას ჭ ტასოს თხსულებებსა, ძვირფას  
უღებში შეკრულსა ჭ დიდის ტრფობით შესწროდა, თი-  
თქონ ის ქალი უღვაწინათ,

— მაშ თქვენსა ბძანებთ მამაო, რომ კანტარინი  
ძლიერ სასტიკად თვალურ ადევნებს თავის ცოლსაო?  
ჰკითხა არგეიძა.

— არა, მე მაგას არ ვეუბნები, მიუგო მღვდელმა,  
იმას სრული თავისუფლება აქვს მიცემული, რაც კი  
სურს. კანტარინი ისე მტკიცედ დარწმუნებული არის  
თავის ცოლის ერთგულებასეუ, რომ ეჭვი არაფერში  
აქვს, ცოლი თუშცა ძაღლიან ხსალგანდა არის, მაგრამ  
არც ერთხელ არ მიუცია მისეი თავის ქმრისათვის  
უკმაყოფილებასეუ. ქმარი ხანში შესულია თითქმის  
კარგად ჭ ცოლს რომ მოუნდომებია ქმრად, სიუბა-  
რულით კი არ მოუნდომებია, მხოლოდ დიდის კაცო-  
ბის გულისათვის. დევანდღამდინ იმან სიუბარულითა  
აზ იცისრა, იქნება ქმრის მიძისკანაც, არ ვიცი.  
მე კანტარინს კარგად ვიცნობ. ერთის ეჭვის ალბით,  
ცოლიც დაიღუპება ჭ თითონ ის უბედურიც, რომე-  
ლიც გაბედავს იმის აშუკობასა. ამასუდ ბევრს რასქეს

ლახარაკობენ კანტარინსეუდ, რომელსაც მიაჩნია თავის  
შინაურ საიღუმლოებად.

რდესაც უკლა დასინჯეს, გამოვიდნენ.

არსებია უღარ შეიძლება თავისი გულის გრძნობა  
დ გულწრფელობით გამოსთქვა, რომ იმ ვენეციის მძ-  
წნიერმა ქალმა შეიძურო ამისი გული, მაგრამ ის არ  
იცოდა, ცოლი იყო კანტარინისა, თუ ქვრივი ქალი,  
მღუდელი ეუბნებოდა, რომ ეს თავისი უბედოლო გრძ-  
ნობა შეემაგრებინა, რადგანც საუბედურო ბოლო უნდა  
ქონებოდა; მაგრამ ამასთანავე ფიქრობდა იქნება ქვი-  
რივი ქალი იყოს, მაგრამ ან ერთს, ან მეორეს რომ  
გორ შეგუთ ესა. არაბისაგან? ან, კიდევ მენაჟუთა-  
გან? საღამოსეუდ არსებობი მივიდა წულის კიდსეუდ, მა-  
გრამ ვერც მენაჟუნი იზოვნა იქა დ ვერც თუთან ნაჟი,  
ის გზა არევით უკლიდა კანტარინის სასახლესა; ის  
დაიარებოდა ყოველს ადგილს, სადაც ქი დაიარებოდა  
ვენეციის კუთილმობელი სასოგადრება, დადიოდა ეკ-  
ლესიაში, სადაც დიდის ურბადებით სინჯავდა მლო-  
ცულებს, მაგრამ თავის გრძნობის საგანსკი ვერა ქნო-  
ვებდა. ის დარწმუნებული იყო, თუ ენახა სადმე, რაც  
უნდა გახეული ყოფილიყო, ზირბადეში, მაინც იცნო-  
ბდა; მართლადაც, იმან ნახა ერთს დღესასწაულს დღეს

იმ მედიანსედა, რომელსაცა ეწოდებოდა კიოჯი, მაშინვე იცნო ის ოთხივე ჰაწაწა ფეხები, მაგრამ იმ ორივე ქალის ტანიც ზე ჰაწაწა ფეხებიც ისე ერთმანერთის მსგავსნი იყვნენ, რომ ვერ შეძლებოდა ვერხს კხით ეცნო კაცს, თუ ვინ რომელი იყო; რომ ვერა შეიტყობრა, შეწუხებული მივიდა თავის ნათან, ჩაჯდა ზე მიუცა წელის ზვირთებსა ფიქრის კასართავად. რომ გაერთო დრო, დაუწყო ლაზარავი ერთს შენავეს, რომელმაცა უთხრა, რომ ის იყო გრაფინია ალბანის მუნავე. ამან იმ ქალებისა კი ვერა შეატყობინარა ზე ეს კი უთხრა, რომ კანტარინის თავის ასალსსაზაფსულო სასახლეში იქ მასკარადიც იქნებო. მრთელი ვენეციის დიდი სასოკადოება იქ არის მოწვეული, ამასკარდა ვინც მასკას გაიკეთებს, თუნდა მაწვეული არ იყო სმეუძლიან შევიდესო. ესეც დაუმატა გრაფინია ალბანი, კითხულობდა არნგეიმი იქნება თუ არა ბალბიო, იმას ძალიანა სურს, ისიც იქ იუოსო. ეს რომ შეიტყო არნგეიმა, სინარულის ფერმა გადაჭრა სახეზედ, მაგრამ ის ფიქრობდა, ეს უთქვამს ალბანის ზე არა კოსტანციასაო. მამ როგორცა სჩანს, ქერიუს გრაფინიას მოუცია ჩემთვის უწოდებო; ის ამხედ დარწმუნდა ზე დაბეჯითდა, რომ ქერიუს ქალს უნდოდა ამისი ნახვა

შიძის ფიქრისაგან გამოვიდა აზნგვიძი, რადგანც იფიქრა, ცოლი სომ არ არის კანტარინისა, რომ იმისგან იმიშოდეს ზ ქერიუ ქალისათვის ის რა თავს გამოიღებსო. გაეკონა სიყვარული ვარდის ფერის ზირითგან ზ შერე მოძუდარიუო თუნდა, ეს შიანდა, აზნგვიძის, აღელვებულს სიყვარულისაგან უმაწვილს კაცსა. როდესაც ის მოვიდა შინ, შეორე დღეს, დილით უბძანა თავის შსახურსა მოეშადებინა საღამოსათვის ბერძნული ტანისამოსი, რომელსაცა იცვამდა სოლმე მკვაფრობის დროსა. ამას გარდა ეჭოდნა საბერძნეთის მესომადიდის ტანისამოსი თავის მენავესათვის.

იმან ღრმად იცოდა იტალიანური ენა, მიღებული დიდს სასოკადოებაში; ლაზარაკობდა აგრეთვე უოველს უფროპიულს ენაზედ, ასე რომ იმას ვერ შეატკობდა კაცი; თუ რომლის თემის საღსს ეკუთნოდა. საღამოსზედ ჩაიცო ბერძნული ტანისამოსი, ჩაჯდა ნავში ზ გაერია შიძვალ საღსში ბრენტის სოფლისაკენ, რომელცა იყო ათ ვერსზედ ქალაქითგან ზ სადაცა სახაფხულსა სასახლეში ჰქონდა ბალი კანტერინის. როდესაც მივიდა აზნგვიძი, ღამე იყო ზ დაინახა სასახლე ბრენივალეთ გაზღებულთ სამთლებითა, ხალხი დიდ ძალი ირყოდა, მუსიკის სმა გამოდიოდა. იმან

გაკეთა მასკა & შეულო რამდენიმე საღებო მდიდრულად მოართულები, სადაცა ისეთი ხალხის ჭკეპა იყო, რომ ძლივს ანობდა იმ ხალხს რომ მიდიოდა; ვეულის ზირის სახესეგ მასკა ჭქონდათ გაკეთებულები, ზოგნი ტანციობდნენ, ზოგნი უაენებდნენ, ზოგნი დადიოდნენ & ზოგნი ბუჭეთს ეხევეოდნენ, სადაცა ბრწეინაზდა ურიცხვი ვერცხლეულება, & სადაცა მდიდრად ჩაცმულნი მოსამსახურენი იმსახურობდნენ. უკანა მხრივ საღებში ივენენ ქალები & კაკები მასკებიანი, რომელნიცა შემოხეოდნენ დიდს მრგვალ მწეანვ სტოლებსა, რომელსედაც ვენენ თქროულება, ქისები სახსე ოქროებითა, გუობოდათ აქ თამაშობდნენ ქაღალდსა.

არნგეიმი დაეებდა გაუაციცეებული იმ ურიცხვ ხალხში იმ ვარსკულავს, რომელიცა განაგებდა ამის ბუდსა. რომ ხსლო ვაგინჯა ეს სათამაშო სტოლები, არნგეიმი მივიდა ხსლოს ერთ სტოლთან, ამოიღო ქია თქროთი სახსე ჯიბითგან, & აიღო ველში სათამაშო ქაღალდი, ამან წაავო. შემოეთ უფრო ბევრს ჩამოვიდა, კიდევ წაავო; მესამეთ, გაჯავრებული უფრო კიდევ ბევრს ჩამოვიდა. ამდროს, რა ვახსება ზირ & ზირ, თავს ზარი დაეცა. იმან დანახა ერთი ქალი, ბერძნულად ჩაცმული, მსვენიურის მოყვანილებსა;

ეღუფე ეგლო მარგალიტის ძეწვეი ზ სუფარლად კად-  
 მოჭყნოდა ბრტყელ მკერდსუდ მავი გიშერივით თმები.  
 მასკა ჭქონდა წმინდის კანისაგან შედგენილი, მაგრამ  
 სახის გარჩევა მაინც შეუძლებელი იყო, ის თვალ  
 დაკვირვებით უყურებდა არნკეიმსა, რომელიც ფუქ-  
 რძი ჩაფლული იყო, მინამ გვერდს მჯდომა არ უთ-  
 სრა, მენმა ქაღალდმა, მოიკოვო, მინამ ვერ გამოფნი-  
 სლდა; ამან მოიგო დიდ ძალი ფული.

მშვენური ბერძნის ქალი, როგორც ეტყობოდა  
 დიდი მონაწილე იყო არნკეიმის თამაშობაში. ის იცო-  
 ნოდა ზ ვლანარაკებოდა გარს შეოფთა. არნკეიმს,  
 ამ გამბედავს მოთამაშეს, უველამ უურადღება მიაცქია.  
 მშვენური ბერძნის ქალი რა მოძორდა, შევიდა ზირ ზ  
 ზირ საღამო, სადაცა რამდენიმე წამის შემდგომ არნ-  
 კეიმიც შეჭედა. იქ მყოფნი ყველანი კითხულობდნენ.  
 თუ ვინ იყო ეს ბერძნელის ტანისამოსით. ზოგნი  
 ანობდნენ სერბის მთაყრის შელითაჲ, ზოგნი რას  
 ზ ზოგნი რასა.

არნკეიმი მიემუროებოდა ანდამატისაკენ, იმას ეჭვი  
 აღარა ჭქონდა, რომ ის არ ეოფილიყო; რომელიცა  
 გამოისსნა წყალში ჩაკარდნისაგან ზ იქნება, დასწო-  
 ბისაგანაც, თვლებში უეღბვდა სიფარული. როგვაცს

დაინახა თავისი გრძნობის საგანი, მივიდა კაბუღით  
 & სთხოვა ეტანცნია ამასთან. იმან ეს თხოვნა მიიღო  
 სიამოვნებით; & როდესაც ხელი მოჰკიდა, იგრძნო  
 არნეიმა რომ ამ ქალს შევლავები უკანკალებდნენ.  
 როდესაც ტანციობა გაათავეს & არნეიმი გააცილებდა  
 ქალს თავის დასაჯდომ ალაგამდინ, ქალი ხმას იცუ-  
 ლიდა. ის ეტყობა მადლობასა, რასაკვირველია ესუც  
 ზასუსს მიუგებდა ალურსიანად.

არნეიმი ძინც მიშობდა & კაბუღით ვერ ემოქ-  
 შედნა, ის შერე ამის შემხდგომს გავიდა მეორე სალა-  
 ში, მაგრამ ისევე მობრუნდა სისწრაფით იქ, სადაცა  
 დაუტევა ბერძნის ქალი, რომელიცა ისევე იქ იყო;  
 თითქმის არნეიმს ელოდაო. როდესაც ქალმა დაინახა,  
 მივიდა & სთხოვა ეტანცნიათ ერთად ბერძნულად. არნ-  
 ეიმი ჩინებულად ტანციობდა ბერძნულად; ქალი სია-  
 მოვნებით ხან გამოყოამაშებოდა ტანციობაში, ხან  
 დაშორდებოდა, თითქოს თავისთან იტყუებსო & ხან  
 შიანლოვდებოდა, საბერძნეთის თამაშობის რიგი რო-  
 გორც არის. ტაშის კვრა შეიქნა სალხში, როდესაც  
 არნეიმა ქალი თავისავე ალაგას მიიუნა. მშვენირმა  
 თვალეებმა სხარულისაგან გაუელვეს ქალსა, როდესაც  
 არნეიმა ხელი მოუჭირა & მადლობა გადაუხადა.

ხალხი ორიუ დაირივა, არნკეიმს თუშცა ქალი დაეკარგა ამ ხალხში, მაგრამ სიუვარულისაგან შიმ დაკარგულმა, გაბედვით დაუწუო მოძებნა. ბოლოს იზოვნა ურიცხვ მასკების შორის, რომელთანაც მოვიდა, როგორც მცნობთან ზ რა ვაკვირდო, როდესაც ქალმა მიიღო დიდის ალერსით როგორც მცნობი, მაგრამ უარი უთხრა შესამედ ტანციობასე. ამ უარმა ისე მოჭკლა არნკეიმი, რომ თითქოს გული ხანჯლით დაუკოდესო. იმან თითქმის ესეც იფიქრა, რომ ქალი თავის შესატყვებად ასე მეჭურობათ. მაგრამ სიუვარულმა კვლავ რაბუწვა. იმას უნდოდა დასდევნებოდა ქალსა ზ შეეტო, თუ რათ მისცა ამისთანა შეურაცხება. იქ ვიღაცა მასკამ გვა შეუკრა. ის მარდად ჩაუდგა შუაში ზ შემოუძახა. «ნუ შებედათო!» ზ ორნივენი გაქრნენ იმ ხალხის წუებაში. არნკეიმ შეკრთა; ამ სიტყვებმა ისე მოკლეს, რომ სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერხა; იმან მოინდომა გაჭულოდა იმ მასკას, რომელმაც ასე სუსტიკად გვა შეუკრა, მაგრამ ვეღარ იზოვნა. ამ დროს ერთი ჰატარა არაბი მდიდრულის ტანისამოსით მიეპარა არნკეიმს, კალთა გამოსწია ზ როდესაც მიიხედა,



ამ ზატარა არაბმა ბარათი ჩაუდო სელში. ის შესდგა. ზატარა არაბი ჰასუსს ელოდა. არნბუიმი მოვიდა, იქვე ერთს ზატარა ოთახში ჭ წაიკითხა შემდგომი მონაწერი, რომელიცა იყო ქალის სელით დაწერილი: »შეუზღვარო უცხო ქვეყნელი! თუ რომ შენი გული იმავეს გრძნობს, რასაცა გამომეტყულებენ შენი თვალები, მამ გამოტყე ამ ბარათის მომტანსა.«

(ბოლო მერე იწევა.)

